ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №19

2016 წლის 28 მარტი

ქ.ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის №213 განკარგულებით დამტკიცებული ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე „სოციალურად დაუცველი ფენისათვის მუნიციპალური უფასო სასადილოს პროგრამაში" ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს 63-ე მუხლისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 22 მარტის N01/2086 მომართვის შესაბამისად:

1. შევიდეს ცვლილება ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის №213 განკარგულებით დამტკიცებული ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე „სოციალურად დაუცველი ფენისათვის მუნიციპალური უფასო სასადილოს პროგრამაში" თანახმად დანართისა;

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ნ.თხილაიშვილი);

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.N30);

4. განკარგულება ამოქმედდეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 მარტის №07 დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტის ცვლილებების ძალაში შესვლისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ს.ოქროპირიძე

ქობულეთის სოციალურად დაუცველი ფენისათვის მუნიციპალური უფასო სასადილოს პროგრამა

1. **პროგრამის სახელწოდება:**

   სოციალურად დაუცველი ფენისათვის მუნიციპალური უფასო სასადილოს პროგრამა

2. **პროგრამის დაწყებისა და დამთავრების თარიღი:**

   2016 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 31 დეკემბრამდე;

3. **პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:**

   საანგარიშო წლის ბიუჯეტი: **134 000** (ასოცდათოთხმეტი ათასი) ლარი.

4. **პროგრამის დაფინანსების წყაროები:**

   ძირითადი _ ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა **134 000** ლარი;

5. **პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:**

   ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

6. **პროგრამის აღწერა და მისი აქტუალურობის დასაბუთება:**

მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენის დახმარება წარმოადგენს ქვეყნის ჯანდაცვისა და სოციალური პოლიტიკის ძირითად პრიორიტეტს.

ქ. ქობულეთში მუნიციპალური უფასო სასადილო ემსახურება აღნიშნული კონტიგენტის 280 ბენეფიციარს ერთჯერადი ცხელი საკვებით კვირაში 7-ჯერ (წელიწადში 366 დღის) განმავლობაში პროგრამით გათვალისწინებულ მენიუს შესაბამისად.

7. **პროგრამის მიზნები მათი მიღწევის შეფასების ინდიკატორები**

N	პროგრამის მიზნები	მიზნების მიღწევის შეფასების ინდიკატორები
1	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 280 ბენეფიციარის ცხელი საკვებით უზრუნველყოფა კვირაში 7 დღეს	მოსარგებლე პირთა რაოდენობა
2	მორალური მხარდაჭერა	კმაყოფილების დონე

8. სამოქმედო გეგმა დასახული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით

N	საქმიანობის აღწერა	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
1	სასადილოს ფუნქციონირება	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X

9) პროგრამის მოსარგებლე პირთა შერჩევის წესი:

პროგრამის მომსახურეობით ისარგებლებს 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოსარგებლე ყველა ბენეფიციარი და ასევე 2015 წლის გამავლობაში შემოსული განცხადებები, რომელთა შერჩევა მოხდება შემდეგი კრიტერიუმებით:

1. ბენეფიციარი, რომლის ოჯახი რეგისტრირებულია სოციალური მომსახურეობის სააგენტოში და მისი ოჯახის სარეიტინგო ქულა არის 0-დან 100 000-მდე.
2. მარტოხელა პენსიონერი;
3. დედ-მამით ობოლი ბავშვი;
4. უსახლკარო;
5. მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოსახული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები;
6. მარჩენალდაკარგული;
7. მრავალშვილიანი (18 წლამდე 5 და მეტი შვილი) ოჯახი;

10. პროგრამის ბიუჯეტი:

ა) პროგრამის დაფინანსება წლების მიხედვით

N	წყაროს დასახელება		2016 წელი	2017 წელი	2018 წელი	სულ
	ძირითადი	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი	134 000			134 000
	დამატებითი		0	0	0	0
	სულ		134 000			134 000

ბ) პროგრამის ხარჯები ღონისძიების მიხედვით

N	პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიების დასახელება (დეტალური გაშიფრული)	ერთეულის დასახელება	რაოდენობა	დღეთა რაოდენობა	ერთეულის ფასი	სულ ღონისძიების ხარჯი (ლარი)
	2016 წელი					
I						
	სულ საქონელი და მომხმარებელი					
II	სოციალური უზრუნველყოფა					
	ბენეფიციართა ერთჯერადი კვება	ბენეფიციარი	280	366	1,31	134 000
	სულ სოციალური უზრუნველყოფა					
III	არაფინანსური აქტივები					
	სულ ჯამი					134 000

გ) პროგრამის ფარგლებში გასაწევი ხარჯები წლის განმავლობაში

დასახელება	კვება	ხელფასი	ოფისის ხარჯები	სულ	შენიშვნა
წლიური მომსახურეობა	124 640	8 400	960	134 000	კვების ხარჯებიდან გათვალისწინებულ უნდა იქნას საახალწლო საჩუქრები 280 ბენეფიციარზე და სააღდგომო საჩუქრები 280 ბენეფიციარზე

დ) პროგრამის მომსახურების ერთეულის ღირებულება

დასახელება	კვება	ხელფასი	ოფისის ხარჯები	სულ
ერთი ბენეფიციარის დღიური მომსახურეობა	1.22	0.08	0.01	1,31

11. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სახელმწიფო შესყიდვები:

N	შესყიდვის ობიექტის დასახელება და მოკლე აღწერა	შესყიდვის განხორციელების ვადები	შესყიდვის განხორციელების ფორმა	შესყიდვის დაგეგმილი თანხა	შენიშვნა
1	პროგრამის ფარგლებში მისაწოდებელი პროდუქტების შესყიდვა (თანმდევი მომსახურებით)		გამარტივებული ელექტრონული ტენდერი	134 000	ტენდერის უარყოფითი შედეგით ან არშემდგრად გამოცხადების შემთხვევაში, განხორციელდეს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონით დადგენილი შესაბამისი პროცედურები.

12) დამატებითი ინფორმაცია:

ა) დამტკიცებული ხარჯების კვარტალური განაწილება

I კვარტალი 33 500 ლარი; II კვარტალი 33 500 ლარი;

III კვარტალი 33 500 ლარი; IV კვარტალი 33 500 ლარი.

შენიშვნა: ხარჯების კვარტალური განაწილება შესაძლებელია დაზუსტდეს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

ზ) მუნიციპალური უფასო სასადილოს მენიუ (ერთი კვირის)

ორშაბათი

1. ბარდის სუფი – 500 გრ
2. გულიაში ბრინჯისა გარნირით – 250/200 გრ
3. ხილის კომპოტი – 200 გრ
4. პური – 250 გრ

ოთხშაბათი

1. ბრინჯის სუფი – 500 გრ
2. ჩახოხბილი – 300 გრ
3. ხილის კომპოტი – 200 გრ
4. პური – 250 გრ

პარასკევი

1. ბრინჯის სუფი – 500 გრ
2. ხორციანი მაკარონი – 53/200გრ
3. ხილის კომპოტი – 200 გრ
4. პური – 250 გრ

კვირა

1. მაკარონის სუფი – 500 გრ
2. კოტლეტი წიწიბურას გარნირით – 90/200 გრ
3. ხილის კომპოტი – 200 გრ
4. პური – 250 გრ

სამშაბათი

1. მაკარონის სუფი – 500 გრ
2. სოსისი კარტოფილის პიურეთი – 3ც/200 გრ
3. ხილის კომპოტი – 200 გრ
4. პური – 250 გრ

ხუთშაბათი

1. მაკარონის სუფი – 500 გრ
2. თევზი კარტოფილის პიურეთი – 75/200 გრ
3. ხილის კომპოტი – 200 გრ
4. პური – 250 გრ

შაბათი

1. ბორშჩი – 500 გრ
2. გულიაში ბრინჯის გარნირით – 250/200 გრ
3. ხილის კომპოტი – 200 გრ
4. პური – 250 გრ

გ) პროგრამის ფარგლებში გასაწევი კვების ხარჯი კვირის განმავლობაში

N	საქონლის დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)
1	ნიორი	კგ	4,93	5,00	24,65
2	სტაფილო	კგ	50,51	0,70	35,357
3	ხახვი	კგ	85,74	0,6	51,444
4	კარტოფილი	კგ	282,24	0,5	141,12
5	ტომატი	კგ	21,28	5,50	117,04
6	ჭარხალი	კგ	6,10	0,6	3,66
7	მწვანილი	კგ	10,98	1,5	16,47
8	მაკარონი	კგ	43,79	1,1	48,169
9	კომბოსტო	კგ	19,49	0,5	9,745
10	მარილი	კგ	13,66	0,8	10,928
11	ძმარი 1/0,5 ლიტრი	ბოთლი	1,12	0,9	1,008
12	მარგარინი	კგ	25,54	1	25,54
13	წიწაკა შავი	კგ	0,74	0,99	0,74
14	ხორცი	კგ	92,51	5	462,55
15	ხილი	კგ	42,56	1	42,56
16	წიწიბურა	კგ	26,77	1,5	40,155
17	ზეთი	ლიტრი	32,93	3	98,79
18	სოსისი	ცალი	840,00	0,5	420
19	შაქარი	კგ	34,05	1,3	44,265
20	ბრინჯი	კგ	58,24	1	58,24
21	პურის ფქვილი	კგ	9,86	0,84	8,283
22	პური 1/500 კგ	ცალი	988,40	0,4	395,36

23	ბარდა	კგ	12,15	1,1	13,365
24	თევზი	კგ	38,98	3	116,94
25	კვერცხი	ცალი	12,32	0,25	3,05
26	ქათმის ბარკალი	კგ	58,46	2,5	146,15
27	სულ კვების პროდუქტები	ლარი	2898		2335,579

ე) მოსარგებლის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი დოკუმენტი:

1. განცხადება მუნიციპალიტეტის გამგებლის სახელზე
2. პირადობის მოწმობის ასლი
3. პროგრამით მოსარგებლის შერჩევის წესის შესაბამისად უმწეობის დამადასტურებელი დოკუმენტი (უმწეობაზე, დედ-მამით ობოლ ბავშვებზე, ინვალიდისა და მარჩენალდაკარგულზე ცნობა ან მოწმობა სოციალური სუბსიდიების სააგენტოდან, უსახლკარომ-ცნობა ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულიდან)